#341 2015 წლის 20 აგვისტო ქ. თბილისი

ნ. ჯავახიშვილის, დ. ლეჟავასა და ნ. გასვიანისათვის „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი)" სასესხო ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს **ნოდარ ჯავახიშვილს**, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს **დავით ლეჟავასა** და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს **ნუგზარ გასვიანს** მიენიჭოთ „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი)" სასესხო ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**